

© ევროპის საბჭო/ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 2012. წინამდებარე თარგმანი შესრულებულია ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა სატრასტო ფონდის ხელშეწყობით (www.coe.int/humanrightstrustfund). სასამართლოსათვის იგი სავალდებულო ხასიათს არ ატარებს. დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ საავტორო უფლებების სრული მიმოხილვა მოცემული დოკუმენტის ბოლოს.

© Council of Europe/European Court of Human Rights, 2012. This translation was commissioned with the support of the Human Rights Trust Fund of the Council of Europe (www.coe.int/humanrightstrustfund). It does not bind the Court. For further information see the full copyright indication at the end of this document.

© Conseil de l'Europe/Cour Européenne des Droits de l'Homme, 2012. La présente traduction a été effectuée avec le soutien du Fonds fiduciaire pour les droits de l'homme du Conseil de l'Europe (www.coe.int/humanrightstrustfund). Elle ne lie pas la Cour. Pour plus de renseignements veuillez lire l'indication de copyright/droits d'auteur à la fin du présent document.

საინფორმაციო შეტყობინება სასამართლოს პრეცედენტულ სამართალზე #103

ნოემბერი, 2007

ჰამერი (*Hamer*) ბელგიის წინაღმდეგ - 21861/03

გადაწყვეტილება 27.11.2007 [II სექცია]

მე-6 მუხლი

სისხლის სამართალწარმოება

მუხლი 6.1

სისხლის სამართალგზირივი ბრალდება

სამართალწარმოება, რომელსაც შედეგად მოყვა დაგეგმარების ნებართვის გარეშე სახლის დანგრევა: *მე-6 მუხლის მოქმედება ვრცელდება*

1-ელი დამატებითი ოქმის 1-ელი მუხლი

პირველი დამატებითი ოქმის 1-ელი მუხლის 1-ელი პარაგრაფი

საკუთრება

სააგარაკე სახლი, რომლის დემონტაჟის შესახებ გადაწყვეტილება მიღებულ იქნა მხოლოდ რამდენიმე ათეული წლის შემდეგ, გაირკვა რა, რომ სახლი დაგეგმარების ნებართვის გარეშე აშენდა: *1-ელი დამატებითი ოქმის 1-ელი მუხლის მოქმედება ვრცელდება*

1-ელი დამატებითი ოქმის 1-ელი მუხლის მე-2 პარაგრაფი

საკუთრების სარგებლობაზე კონტროლი

ტყეში აგებული სააგარაკე სახლის დემონტაჟის ბრძანება, რომლის მშენებლობაზე აკრძალვა ვრცელდებოდა: *დარღვევა არ დადგინდა*

ფაქტები: 1967 წელს განმცხადებლის მშობლებმა დაგეგმარების ნებართვის გარეშე ააშენეს სააგარაკე სახლი მიწის ნაკვეთზე. განმცხადებლის დედის გარდაცვალების შემდეგ, დოკუმენტში, რომელიც ასახავდა მამასთან ქონების გაყოფას, აშკარად იყო მითითებული ეს შენობა. დოკუმენტი დაარეგისტრირა შესაბამისმა სახელმწიფო ორგანომ და სარეგისტრაციო მოსაკრებელიც მიიღო ამისთვის. მამის გარდაცვალების შემდეგ ნოტარიულად დამოწმებულ გაყოფის დოკუმენტშიც ნახსენები იყო სააგარაკე სახლი და განმცხადებელმა გადაიხადა მემკვიდრეობის გადასახადი. ყოველწლიურად განმცხადებელი იხდიდა დანამატს უძრავი ქონების გადასახადზე და ქონების გადასახადს მეორე სახლისთვის. ნაწილობრივ ხელისუფლების მიერ კონტროლირებადმა წყლის კომპანიამ სახლი საკომუნიკაციო ქსელთან დააკავშირა ხელისუფლების მხრიდან რაიმე რეაგირების გარეშე. 1994 წლისთვის პოლიციამ მოამზადა ორი ანგარიში, სატყეო წესების საწინააღმდეგოდ ხეების მოჭრის გამო და სახლის დაგეგმარების ნებართვის გარეშე აშენებისთვის ტყის იმ მონაკვეთში, სადაც დაგეგმარების ნებართვა არ გაიცემოდა. 1999 წელს განმცხადებელი სახელმწიფო პროკურორმა დაიბარა ნებართვის გარეშე აშენებული სააგარაკე სახლის ფლობისა და სატყეო დეკრეტის საწინააღმდეგოდ დაახლოებით ორმოცდაათამდე ფიჭვის ხის მოჭრისთვის. სისხლის სამართლის სასამართლომ გაამართლა განმცხადებელი. პროკურატურის ორგანოებმა საჩივრით მიმართეს სააპელაციო სასამართლოს, რომელმაც ძალაში დატოვა გადაწყვეტილება, გაამართლა რა განმცხადებელი ხეების მოჭრის ნაწილში. თუმცა დამნაშავედ ცნო ნებართვის გარეშე აშენებული სახლის ფლობისთვის, რეგირებული განვითარების ორგანიზების შესახებ დეკრეტზე დაყრდნობით. იმის მითითებით, რომ სამართალწარმოება არაგონივრულად დიდხანს გაგრძელდა, სააპელაციო სასამართლომ განმცხადებელი უბრალოდ დამნაშავედ გამოაცხადა და დაავალა ტერიტორიის პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანა, რაც სახლის დემონტაჟს გულისხმობდა. განმცხადებელმა საჩივარი შეიტანა სამართლებრივ საფუძვლებთან მიმართებით, მაგრამ უშედეგოდ. საკასაციო სასამართლომ ტერიტორიის პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანა მიიჩნია არა სასჯელად არამედ სამოქალაქო ღონისძიებად. სახლის დემონტაჟი სააღსრულებო განკარგულების საფუძველზე მოხდა.

კანონი: მუხლი 6.1 (გონივრული ვადა) - ის ფაქტი, რომ სააპელაციო სასამართლომ განმცხადებლის წინააღმდეგ ბრალის მარტივი დადგენა გამოაცხადა სამართალწარმოების გადაჭარბებული ხანგრძლივობის ფონზე, ამან განმცხადებელი არ გახადა ნაკლებად „დაზარალებული“ იმის გათვალისწინებითაც, რომ სასამართლომ მას დააკისრა ტერიტორიის პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანა.

მე-6 მუხლი მოქმედებდა მისი სისხლისსამართლებრივი ბუნების ფარგლებში, რადგანაც დემონტაჟი კონვენციის მიზნებისთვის შეიძლება ჩაითვალოს „სასჯელად“.

მართალია საქმის არსებითი განხილვის დრო არ შეიძლება ჩაითვალოს არაგონივრულად (სამ წელიწად ნახევარზე ოდნავ მეტი დასჭირდა არსებით განხილვას სამი ინსტანციის სასამართლოში), პოლიციის ოქმით, რომელშიც დაფიქსირა ნაგებობის არაკანონიერი ბუნება, დაფიქსირდა დრო როდიდანაც მოხდა განმცხადებლის „ბრალდება“ პრეცედენტული სამართლის მიზნებისთვის და როდიდანაც დაიწყო გონივრული ვადის ათვლა. შესაბამისად საქმის, განხილვას დასჭირდა 8-დან 9 წლამდე პერიოდი სამი ინსტანციის განხილვისთვის, მათ შორის 5 წელი დასჭირდა საგამომიებო სტადიას, მიუხედავად იმისა, რომ საქმე არ იყო განსაკუთრებული სირთულის.

დადგენილება: დარღვევა (ერთხმად).

1-ელი დამატებითი ოქმის 1-ელი მუხლი - ნაგებობა ოცდაშვიდი წლის განმავლობაში არსებობდა, სანამ სახელმწიფო ორგანოები ოფიციალურად დააფიქსირებდნენ დარღვევას. სივრცითი დაგეგმარების კანონმდებლობის დარღვევის დაფიქსირება უდავოდ სახელმწიფო ორგანოების პასუხისმგებლობას განეკუთვნებოდა, ვინაიდან ეს ორგანოები წარმოადგენდა ხელმისაწვდომ აუცილებელ რესურსს. სასამართლოს ისიც კი შეეძლო

გათვალისწინებინა, რომ ხელისუფლების ორგანოებისთვის ცნობილი იყო ნაგებობის არსებობა, რადგანაც ხდებოდა შესაბამისი გადასახადების გადახდა. მოკლედ რომ შევამდგეს, ხელისუფლების ორგანოები ოცდაშვიდი წლის განმავლობაში უშვებდნენ ამ მოვლენას და არაფერი შეცვლილა სამართალდარღვევის დაფიქსირებიდან მომდევნო ათი წლის განმავლობაში. ამდენი ხნის შემდეგ საკუთრებასთან დაკავშირებული ინტერესი სააგარაკე სახლით სარგებლობისა გაცილებით მაღალი იყო და საფუძველს ქმნიდა მნიშვნელოვანი ინტერესის დამკვიდრებისთვის, შესაბამისად, „საკუთრებისთვის“ და მას გაუჩნდა თავისი ქონებით სარგებლობის გაგრძელების „ლეგიტიმური მოლოდინი“. განმცხადებლის საკუთრებით შეუზღუდავად სარგებლობის უფლებაში ჩარევა, რაც გამოიწვია სახელმწიფო ორგანოების გადაწყვეტილებამ სახლის დემონტაჟის შესახებ, გათვალისწინებული იყო კანონით და ემსახურებოდა საკუთრებით სარგებლობას ზოგად ინტერესებთან შესაბამისობაში, სადავო საკუთრების მიწათსარგებლობის გეგმასთან შესაბამისობაში მოყვანით, გეგმასთან, რომელიც განსაზღვრავს ტყის მასივს, სადაც მშენებლობა დაუშვებელია.

რაც შეეხება ჩარევის პროპორციულობას, სასამართლომ აღნიშნა, რომ გარემოს აქვს ღირებულება და ეკონომიკურმა ნებამ და თვით ზოგიერთმა ფუნდამენტურმა უფლებამ, როგორიცაა საკუთრების უფლება, არ შეიძლება უპირატესობა მოიპოვოს გარემოსთან მიმართებით, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც სახელმწიფოს აქვს კანონმდებლობა ამ საკითხზე. ამის შემდგომ სახელმწიფო ორგანოებს ევალება გატარონ აუცილებელი ზომები სათანადო დროს, რათა უზრუნველყონ რომ გარემოს დაცვითი ღონისძიებები, რომელთა გამოყენებაც მათ გადაწყვიტეს არ აღმოჩნდეს არაეფექტური. შესაბამისად, დასაშვებია საკუთრების უფლების შეზღუდვა იმის უზრუნველყოფით, რა თქმა უნდა, რომ ინდივიდუალურ და კოლექტიურ ინტერესებს შორის გონივრული ბალანსი დაცულია.

სადავო ღონისძიება ემსახურებოდა ლეგიტიმურ მიზანს ტყის იმ ნაწილის დაცვისა, სადაც მშენებლობა აკრძალული იყო. სააგარაკე სახლის მესაკუთრეებმა მშვიდობიანად ისარგებლეს ამ ქონებით ოცდაჩვიდმეტი წლის განმავლობაში უწყვეტად. ოფიციალური დოკუმენტები, გადასახადების გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტები და შესრულებული სამუშაო მიუთითებდა იმაზე, რომ სახელმწიფო ორგანოებისთვის ცნობილი იყო სახლის არსებობა დიდი ხნის მანძილზე და მას შემდეგ რაც სამართალდარღვევა გამოვლინდა, მათ კიდევ ხუთი წელი გაუშვეს სანამ სისხლის სამართალწარმოება დაიწყებოდა, ამით ხელს უწყობდნენ რა მდგომარეობის გამყარებას, რაც თავის მხრივ შეიძლება მხოლოდ საუარესო ყოფილიყო კანონით დაცული ტყის შენარჩუნების თვალსაზრისით.

თუმცა, ბელგიურ კანონმდებლობაში არ არსებობდა ნორმები იმ შენობებთან მიმართებით, რომლებიც ასეთ ტყის მასივებში აღმოჩნდებოდა. სამართალდარღვევა არ ექცეოდა ბელგიური სამართალით განსაზღვრულ შეზღუდვებში და სახელმწიფო ორგანოების დისკრეციაზე იყო დამოკიდებული, რა დროს აღასრულებდნენ კანონს. ტერიტორიის პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანის გარდა სხვა ღონისძიება ვერ ჩაითვლებოდა სათანადოდ, რადგანაც ტყის მთლიანობა უდავოდ ირღვეოდა იქ სადაც მშენებლობა დაუშვებელი იყო. უფრო მეტიც, იმ საქმეების მდგომარეობიდან განსხვავებით, სადაც არსებობდა სახელმწიფო ორგანოების არაპირდაპირი თანხმობა, ეს სახლი აშენებული იყო რაიმე ოფიციალური ნებართვის გარეშე. აქედან გამომდინარე ჩარევა არ შეიძლება ჩაითვალოს არაპროპორციულად.

დადგენილება: დარღვევას არ ქონდა ადგილი (ერთხმად).

41-ე მუხლი - 5 000 ევრო არამატერიალური ზიანის სანაცვლოდ.

© ევროპის საბჭო/ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო
სამდივნოს მიერ მომზადებული ეს მოკლე შეჯამება სავალდებულო არ არის
სასამართლოსთვის

სასამართლო გადაწყვეტილებების მოკლე შეჯამებებისთვის მიჰყევით ბმულს [Case-Law Information Notes](#)

© ევროპის საბჭო/ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 2012

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ოფიციალური ენებია ინგლისური და ფრანგული. წინამდებარე თარგმანი შესრულებულია ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა სატრასტო ფონდის ხელშეწყობით (www.coe.int/humanrightstrustfund). იგი სასამართლოსათვის სავალდებულო ხასიათს არ ატარებს და არც მის ხარისხზე აკისრებს პასუხისმგებლობას. მოცემული დოკუმენტი შეიძლება ჩამოტვირთულ იქნას ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს HUDOC სასამართლო პრაქტიკის მონაცემთა ბაზიდან (<http://hudoc.echr.coe.int>) ან ნებისმიერი სხვა მონაცემთა ბაზიდან, რომელთანაც სასამართლომ მოახდინა მისი გაზიარება. დასაშვებია თარგმანის რეპროდუქცირება არაკომერციული მიზნებისათვის იმ პირობით, რომ მოხდება საქმის სრული სახელწოდების ციტირება, მოცემულ საავტორო უფლებების აღნიშვნასა და ადამიანის უფლებათა სატრასტო ფონდზე მითითებით. წინამდებარე თარგმანის ნებისმიერი ნაწილის კომერციული მიზნებით გამოყენების სურვილის შემთხვევაში, გთხოვთ მოგვწეროთ შემდეგ მისამართზე: publishing@echr.coe.int.

© Council of Europe/European Court of Human Rights, 2012

The official languages of the European Court of Human Rights are English and French. This translation was commissioned with the support of the Human Rights Trust Fund of the Council of Europe (www.coe.int/humanrightstrustfund). It does not bind the Court, nor does the Court take any responsibility for the quality thereof. It may be downloaded from the HUDOC case-law database of the European Court of Human Rights (<http://hudoc.echr.coe.int>) or from any other database with which the Court has shared it. It may be reproduced for non-commercial purposes on condition that the full title of the case is cited, together with the above copyright indication and reference to the Human Rights Trust Fund. If it is intended to use any part of this translation for commercial purposes, please contact publishing@echr.coe.int.

© Conseil de l'Europe/Cour européenne des droits de l'homme, 2012

Les langues officielles de la Cour européenne des droits de l'homme sont le français et l'anglais. La présente traduction a été effectuée avec le soutien du Fonds fiduciaire pour les droits de l'homme du Conseil de l'Europe (www.coe.int/humanrightstrustfund). Elle ne lie pas la Cour, et celle-ci décline toute responsabilité quant à sa qualité. Elle peut être téléchargée à partir de HUDOC, la base de jurisprudence de la Cour européenne des droits de l'homme (<http://hudoc.echr.coe.int>), ou de toute autre base de données à laquelle HUDOC l'a communiquée. Elle peut être reproduite à des fins non commerciales, sous réserve que le titre de l'affaire soit cité en entier et s'accompagne de l'indication de copyright ci-dessus ainsi que de la référence au Fonds fiduciaire pour les droits de l'homme. Toute personne souhaitant se servir de tout ou partie de la présente traduction à des fins commerciales est invitée à le signaler à l'adresse suivante : publishing@echr.coe.int.